თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

ქ. თელავი 2024 წლის 20 თებერვალი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ბაადურ გულიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის **უფროსი ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** დაინტერესებული პირები: **ნანა ათუაშვილი, ნინო ხუციშვილი,** მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მაყვალა სეხნიაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „World Vision International-ის ფილიალისთვის საქართველოში“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

6. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფელ ლაფანყურში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 400 კვ.მ. ოდენობით, საკადასტრო კოდი 53.21.03.007,

სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას, სადაც შემდგომში სამედიცინო ჰოლდინგი ააშენებს სოფლის ამბულატორიას.

ზურაბ სახიაშვილმა აღნიშნა, რომ ადრე ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა ამორტიზირებული კულტურის სახლი, რის გამოც მას ჩაუტარდა სრული დემონტაჟი. აღნიშნულ ადგილიდან გამოყოფილი იქნა 400 კვ.მ. ნაკვეთი, რომლის გადაცემის შედეგად სოფლისთვის სამედიცინო ჰოლდინგი ააშენებს ამბულატორიას.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ალექსანდრე შათირიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მაყვალა სეხნიაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ მოქალაქე **მაყვალა სეხნიაიძეს** სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა იჯარით ქ. თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მის საკუთრებასთან მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 58 კვ.მ. ნაკვეთი, რომელიც მან კეთილმოაწყო. საიჯარო ხელშეკრულების ვადის დასრულებასთან დაკავშირებით თხოულობს იჯარის განახლებას. წინა პერიოდში იჯარის ფასი განისაზღვრებოდა წლიურად 1000 ლარის ოდენობით, ამჟამად არის 1300 ლარი.

ლევან ბერძენაშვილმა დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მაყვალა სეხნიაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრისათვის“ პირდაპირი

განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრისათვის" წინა პერიოდში გადაცემული იქნა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის 0 სართულზე არსებული 43 კვ.მ. ფართის ოთახი და ასევე 9 კვ.მ. დამხმარე ფართი. მოსარგებლემ ოთახს ჩაუტარა რემონტი, ხოლო დამხმარე ფართში მოაწყო შშმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი. ა(ა)იპ აქტიურად ფუნქციონირებს და ითხოვს სარგებლობის ვადის ორი წლით გაგრძელებას.

ა(ა)იპ „თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის" წარმომადგენელმა **ნინო ხუციშვილმა** განმარტა, რომ ცენტრი ასრულებს ჯანდაცვის სამინისტროს შშმ პირებისთვის განკუთვნილ მიზნობრივ პროექტს, რომელიც მიმდინარეობს ერთდროულად ექვს მუნიციპალიტეტში და დღემდე მოემსახურა 830 შშმ პირს. პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ესაჭიროებათ ფართის სარგებლობა კიდევ ორი წლით.

დავით ღაღანიძემ გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა ორი წლის წინ ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის" უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული იქნა ქ.თელავში, რუსთაველის გამზირი N81ა, ყოფილი ინტერნატის შენობის პირველ სართულზე არსებული 188.46 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი. ცენტრმა ჩაატარა კაპიტალური ევრორემონტი. განვლილ პერიოდში განახორციელა „World Vision International-ის ფილიალისთვის საქართველოში"-თან ერთობლივად,

როგორც თელავის მუნიციპალიტეტის ასევე კახეთის მასშტაბით, ბავშვთა განვითარების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი პროექტები.

ლევან ბერძენაშვილმა გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ლევან ბერძენაშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „World Vision International-ის ფილიალისთვის საქართველოში" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე .

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ „World Vision International-ის ფილიალისთვის საქართველოში" ქ.თელავში რუსთაველის გამზირი№81-ა-ში გადაცემული იქნა N1/3 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 93.65 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, სადაც სარგებლობის პერიოდში მოსარგებლემ ჩაატარა რემონტი და ამ ფართში განახორციელა მნიშვნელოვანი აქტივობები ბავშვთა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. შემდგომში მუშაობის გაგრძელებასთან დაკავშირებით თხოულობენ უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის ვადის ორი წლით გაგრძელებას.

„World Vision International-ის ფილიალისთვის საქართველოში" წარმომადგენელმა **ნანა ათუაშვილმა** აღნიშნა, რომ სხვადასხვა ფონდებიდან მოზიდული სახსრებით 2008 წლიდან დღემდე განახორციელეს ბავშვთა განვითარებისთვის განკუთვნილი მრავალი პროექტი, რომელთა ღირებულება 15 მლნ. ლარს აღემატება. გარდა ამისა ფართის რემონტსა და კეთილმოწყობაზე გახარჯული აქვთ 150 ათ.ლარი. მომავალში ფონდებისა და ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთობლივი პროექტების მეშვეობით აგრძელებენ მუშაობას, რისთვისაც ესაჭიროებათ აღნიშნული ფართი.

ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა „World Vision International-ის ფილიალი საქართველოში" მიერ ბავშვებისთვის სასიკეთოდ

განხორციელებული მრავალი პროექტი და დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ალექსანდრე შათირიშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „World Vision International-ის ფილიალისთვის საქართველოში" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე .

მოისმინეს 6. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის წინა სხდომაზე პროექტის განხილვის შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. წარმოების პროცესში აღნიშნულ პროექტში ცვლილებების შეტანა არ მოხდა. მან გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის შესახებ.

თინათინ ხანჯალიაშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა,

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის დასასრულს, **თინათინ ხანჯალიაშვილმა** შეახსენა მერიის წარმომადგენლებს კომიისის მომზადებულ იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია კომისიაზე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების წარმოდგენაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინები. კერძოდ, უმნიშვნელოვანესია, მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ან განკარგვის შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი შეიცავდეს დასაბუთებულ მოტივაციას, რომელიც სარეზოლუციო ნაწილს უძღვის წინ.

კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**